თბილისის “დინამო” ლიდერთა ჯგუფში

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 29 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 2:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფვიანი, წერეთელი (გავაშელი).

“დნეპრი”: სობეცკი, კრავჩუკი, ნაიდა, ბოგდანოვი, პილიპჩუკი (ევსეენკო), სოლოვიოვი, შნეიდერმანი, სემიონოვი (პორკუიანი), იაკოვლევი, ხრისტიანი, რომანიუკი.

მსაჯი: ი. კალგანოვი (სვერდლოვსკი).

დუბლიორები – 1:2.

საკმაო ხანია დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ლიდერთა შორის არიან გათამაშების ცხრილში. უკვე პირველი ტურების შემდეგ “დნეპრმა” მტკიცედ მოიკიდა ფეხი მოწინავეთა ჯგუფში და ქულათა სოლიდური მარაგი შეიქმნა როგორც შინ, ისე სტუმრად ჩატარებულ მატჩებში. მართალია, ახლა აღარავის უკვირს, როცა აღიარებული ფავორიტები ცხრილის ბოლოში ექცევიან და მხოლოდ ქვევიდან “უყურებენ” იმ გუნდებს, რომლებიც სულ ორიოდე წლის წინათ მხოლოდ ოცნებობდნენ უმაღლეს ლიგაში მოხვედრაზე, მაგრამ მაინც საინტერესო იყო, როგორ, რა თამაშით შეძლეს დნეპროპეტროვსკელებმა მიეღწიათ ასეთი მაღალი მაჩვენებლებისთვის.

სტუმრებმა, უდავოდ, ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელ მაყურებლებზე. რამდენადმე მაინც სუსტი რგოლი, რომელიც შეიძლება “ხელმოსაკიდებელი” იყოს მეტოქისთვის, ამ გუნდში არ არის. საუკეთესო ფიზიკური მომზადება, ათლეტური მონაცემები მოთამაშეებს საშუალებას აძლევს ადვილად აიტანონ ის დიდი დატვირთვა, რაც აწევთ მთელს მინდორზე აქტიური, შეუნელებელი მოძრაობისას, შეტევისა და დაცვის მონაცვლეობისას. სათანადო სიმაღლეზე დგას ტექნიკური საშემსრულებლო ოსტატობაც. სტუმრების გუნდის თითოეული წევრი მაქსიმალური ძალით იბრძვის ყოველ ეპიზოდში და, ამდენად, “დნეპრის” წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელი საქმეა.

სტუმრების ასეთი, თუნდაც მოკლე დახასიათება დაგვჭირდა საიმისოდ, რომ ხაზგასმით აღგვენიშნა ის სიძნელეები, რაც დინამოელებს შეექმნათ ამ მატჩში. იოლ გამარჯვებაზე, რა თქმა უნდა, ფიქრიც ზედმეტი იყო, მაგრამ მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა, ვინაიდან თბილისელები შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იშვიათი არ იყო მომენტები, როცა მათ გაძლიერებული ძალებით უხდებოდათ თავის დაცვა. მაგალითად, საჯარიმო დარტყმებისა და კუთხური ბურთის მოწოდებისას მასპინძლები უკლებლივ, სრული გუნდით იყვნენ დაწეული საკუთარ საჯარიმო მოედანზე და წინ არავინ რჩებოდა საიმისოდ, რომ მიეღო მოგერიებული ბურთი. ეს “დნეპრს” საშუალებას აძლევდა ხანგრძლივი, სახიფათო შეტევა გაეშალა. მდგომარეობას ასწორებდა მხოლოდ მაჩაიძის, ყიფვიანის, გუცაევის ინდივიდუალური თამაშის მაღალი დონე, როცა მათ დიდი დისტანციაზე უხდებოდათ ბურთის ტარება, სანამ პარტნიორები მოასწრებდნენ წინ გადმონაცვლებას.

თბილისის “დინამომ” ამ უაღრესად საჭირო გამარჯვებას დიდი ენერგია შეალია, მაგრამ, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ სიძნელეებზე, ბრძოლის სირთულეზე, ეჭვი

არავის შეიძლება ჰქონდეს იმის თაობაზე, რომ მატჩი მოგებულია დამსახურებულად, ღირსეულად, რომ 2 ქულა ჩვენმა გუნდმა უძლიერესის სრული უფლებით მოიპოვა.

მატჩის დასაწყისში სტუმრებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ, გოგიას ძნელი ბურთების აღება მოუხდა რომანიუკის, სოლოვიოვის და კვლავ რომანიუკისგან. დინამოელებმა რამდენიმე კონტრიერიში განახორციელეს, რომელთაგან ერთ–ერთი, 22–ე წუთზე, ზუსტი დარტყმით დაამთავრა ყიფიანმა: მან დროზე მიუსწრო სობეცკის მიერ კოპალეიშვილისგან მოგერიებულ ბურთს.

მეორე გოლს, რომელიც მაჩაიძემ გაიტანა თავით გუცაევის მოწოდებიდან 52–ე წუთზე, თითქოს უნდა გაეტეხა დნეპროპეტროვსკელთა წინააღმდეგობა, მაგრამ ისინი ბოლომდე დაუღალავად იბრძოდნენ და საკმაოდ ხშირად აიძულებდნენ გოგიას ჩაბმულიყო თამაშში.

დინამოელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და ახლა, ამ გამარჯვების შემდეგ ისინი ფაქტიურად ლიდერთა შორის არიან, სადაც კონკურენტთა კარგა მოზრდილი ჯგუფია თავმოყრილი. ყველაფერი დამოკიდებულია პირველი წრის ფინიშზე. ჩვენს გუნდს ორი ძნელი მატჩი აქვს: შინ – “შახტიორთან” და სტუმრად “ზარიასთან”.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 1 ივლისი, 1975 წ.